წლიწადი მეხუთე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

პარიზი. ივლისი 1930 წელი № 29

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Paris Juillet 1930 No 29

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

1888—1930.

შეფიცულებს.

თქვენ ამბობთ: «მოკვდა! მივაბარეთ დღეს უცხო მიწას.
არ გვყა[illegible] ქაქუცა, დაგვიობლდა შეფიცულთ კერა».
შეფიცულებო, ნუ ქვითინებთ. თქვენს თავსა ვფიცავ,
ეს ტყუილია. არ მომკვდარა. მე ეს არ მჯერა.

არ დაიჯეროთ, რომ დაჭრილი ვაჟას არწივი
გამოესალმა მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ,
რომ მის მაგარ ფრთებს ზედ დაადეს ლოდები ცივი.
არ დაიჯეროთ. ტყუილია. მტერს არ აამოთ.

მე ამას ვამბობ. და ეს მჯერა: ვამბობ იცით რას?
დაჭრილმა მკერდში, დაქანცულმა ბოლოს ინება
ნაბადის გაშლა რბილ მწვანეზე დიდ მუხის ძირას
და . . . . მიძინება.

და სძინავს, სძინავს მეფურ ძილით საყვარელ ბელადს...
ჩუმად... ნუ სტირით... მოვასვენოთ გუშაგი ერის.
ჩვენი მამულის ულრან ტყეში, მთაში და ველად
კვლავ გავიგონებთ ამღერებას ცხელ მაუზერის.

თქვენ კი, ყოვებო, მთის არწივი გგონიათ მკვდარი,
თავს რომ დასჩხავით,—გინდათ ლეში ნაკუწ-ნაკუწად?!
მალე ზარს დაგცემსთ თეთრ ტაიჭზე მჯდარი მხედარი:
ცივ სამარითგან ამოსული ჩვენი ქაქუცა.

ს. ბერეჟიანი.

დიდი ქართველის ხსოვნას.

ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი განვიდა ამა სოფლითგან, თვალთ მიგვეფარა, გამოირიცხა ცოცხალთა რიცხვითგან და შევიდა ისტორიის სფეროში.

მისს დიდს პიროვნებას, დიდთა საქმეთა მისთა მომავალი ისტორიკოსი დააფასებს ღირსეულად. მოვლენა მისი მომავალ თაობათათვის მაჩვენებელი იქმნება იმისა, რომ ქართველ ერს არც მე-20 საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს ძალა და სურვილი გმირულად ბრძოლისა თავისუფლებისათვის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მისი იდეალი, და რომ საქართველოს ამ დროსაც აღმოჩენია ძლიერი გმირი, ღირსი და შემძლე ერის თავისუფლების დროშის ტარებისა.

ოდეს ვერაგი მტერი, უსაზიზღრესი და უსასტიკესი ყველა მტერთა შორის, რომელთა რისხვასაც საქართველო დაუსუსხავს, —გაბოლშევიკებული რუსი მოტყუებით დაეცა თავს თავისუფალ საქართველოს 1921 წელს, ოდეს მტრის გამხეცებულ ბინძურ ურდოებს სოციალისტური წითელი დროშით შემოუძღვნენ სამშობლოს ასაოხრებლად ქართველი მოღალატეები, ეს ამბავი ახალი არ იყო საქართველოს ხანგრძლივ გლოვათა და გოდებათა აღსავსე ცხოვრებაში. მაგრამ არც ის იყო მოულოდნელი მოვლენა, ოდეს ქართველთა შორის აღსდგა გმირი ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი და მის ძლიერ ყივილს მთელმა ქართველობამ მისცა ხმა, საქართველოს ვაჟკაცები ხმლით ხელში ამოუდგენ მას გვერდში და ოთხი წლის განმავლობაშა მუსრს ავლებდენ მძვინვარე მტერს, არ შეარჩინეს ნამუსის ახდა სამშობლოისა, სისხლი წამებულთა.

საქართველოს ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მთავრობა, რომელიც ასე სამარცხვინოდ დამარცხებულიყოს და დაემხოს ქვეყნის თავისუფლება, როგორც ეს დაემართა საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ მთავრობას 1921 წელს. მაგრამ სამაგიეროდ ქაიხოსროს ბრძოლაც დიადი იყო და ძნელი გაბოლშევიკებულ რუსის ბატონობის წინააღმდეგ, უძნელესი ვიდრე ბრძოლა მის წინაპართა შახ-აბაზის ურდოების წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში და იმპერატორთა რუსეთის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის დასაწყისში. მაშინ კიდევ საზღვარს უდებდა მტრის სიმხეცესა და სისასტიკეს სარწმუნოება, კანონი ან დესპოტის ბრძანება, ქაიხოსრომ კი სარწმუნოებისა, კანონისა და ზნეობის სრულიად უარმყოფელს, გაპირუტყვებულს სკვითების ბრბოს შეჰმართა ხმალი.

და ერთი იყო ასეთი ქაიხოსრო მთელს საქართველოში, ერთად-ერთი! და არ გვეგონოს რომ ეს რიცხვი მცირეა. მახსოვს, ერთხელ ქაიხოსროს შურით აღსავსე ინტრიგანებმა და თვისთა ანგარიშთა მქონე მტრებმა აწყენიეს და მან გულის სიღრმითგან აღმოსთქვა: „ჩოლაყაშვილი დღეს საქართველოში ერთია, მეორეს მაგრე ადვილად ველარ იპოვითო!“ ეს არ იყო ქადილი ქაიხოსროსი! ეს იყო მისი ღრმა რწმენა, რათგან მართლა იცოდა, რომ სხვა ვერავინ აღასრულებდა საქართველოში მის საქმეს და მხოლოდ სამშობლოს ულრმესმა სიყვარულმა და ბოროტ მზაკვართა ენამ აიძულეს ეთქვა ეს ჭეშმარიტება, რომლის ხმა-მაღლა აღსარება თავ-მდაბალსა და დიდ-ბუნებოვან კაცს შეურაცხ-ჰყოფდა. —დიახ, ქაიხოსრო ერთი იყო, მასში მოთავსდა მთელი სული ტანჯული და მებრძოლი ქართველი ერისა; იგი ერთი იყო, როგორც ერთი იყო ამ ერთი საუკუნის წინად ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ მეფე საქართველოში და როგორც ყოველთვის და ყველგან ერთი გმირია საკმარისი, რომ მის ირგვლივ შეკრბეს მთელი ენერგია განსაცდელში მყოფ მებრძოლი ერისა, —იგი ერთი, რომლის ხსოვნა საუკუნოდ რჩება უფროის სხვათა, რომელიც იქცევა ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქაიხოსრო—ჩოლაყაშვილი იყო, ნათესავი იმ ძველი გვარისა, რომლის ბევრი წევრი წამებულა საქართველოსათვის წმინდა ჯვარითა თუ მჭრელი მახვილით ხელში.

აწ საუკუნოდ გვესალმები, დიდო ქართველო, უკეთილშობილეს და უგმირეს წინაპართა შთამომავალო, რომელმაც საქმითა შენითა კიდევ ადიდე შელახული სახელი საქართველოსი. შენ წარსდგები პირნათლად შენს წინაპართა წინაშე, რომელთაც უყვარდათ საქართველო და თავიც დასდვეს მისთვის და რომელთაც გადმოგცეს სიგმირე და სიყვარული მამულისა, და ეტყვი: მოვედ მეც აქა, აღვასრულე რა თქვენგან ხაანდერძევი ვალი და მეც უკვდავ ვყავ სახელი ჩვენი ქართველთა შორის! მაგრამ ჩვენ კი, სააქაოს დაშთენილნი, რომელთაც ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, სანამ ჩვენი უბედური ქვეყანა თავისუფლებას არ მოიპოვებს, მალე ვიპოვით სხვა ჩოლაყაშვილს?..

მიხ. წერეთელი.

ქაქუცა.

მოკვდა ქაქუცა. უცხოეთში ქართველი გმირის კიდევ ერთი საფლავი გაითხარა. ოსმალეთში სააკაძე და მეფე სოლომონ, სპარსეთში ალექსანდრე, და, აი, საფრანგეთში ქაქუცა მივაბარეთ სამარეს. როდის დაუბრუნდებით სამშობლო მიწას, მტრის ურჩნო და შეუპოვარნო რაინდნო?

ხშირად მწარეა ხვედრი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა. უმწვავეს განცდების წამებში მოევლინებიან ხოლმე ისინი ხალხს, მათის თავგანწირულებით, ღვაწლით და სისხლით შთაბერვენ მას მამულიშვილურსა და ბრძოლის სულს, მაგრამ მათ სახელოვან საქმეთა ნაყოფს თავის თვალით ვეღარ იხილავენ ხოლმე. ზოგჯერ დავიწყებულნი და განკიცხულნიც კი სადმე უცხოეთში ებარებიან სამარეს.

1921 წელს ქართველობა ისე დამარცხდა, როგორც არ შეეფერებოდა იმ ერს, რომლის სამხედრო ისტორია უბადლოა თავგანწირულებისა და სიმამაცის მხრივ. განმათავისუფლებელი მოძრაობა კი ჩაუვარდათ ხელში ჩვენ პოლიტ. პარტიებს, რომელთ მთელი მათი არსებობის განმავლობაში დამარცხებათა მეტი არა უნახავსთ რა.

აი, ამ დროს ბრძოლის ველზედ გამოდის უშიშარი, მედგარი რაინდი, სახელოვან წინაპართა ღირსეული შვილი ქაქუცა ჩოლაყაშვილი; თავის შეფიცულებთან ერთად ქართველ ხალხს შთაბერავს გმირულსა და ბრძოლის სულს, მოუწოდებს მას ჩრდილოეთ ბარბაროსების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავის სიმამაცით საქართველოს სამხედრო სახელს აღადგენს მთელის მისის ბრწყინვალებით. ქაქუცამ ვერ იხილა ნაყოფი თავის ბრძოლებისა. ის მოკვდა დევნილი, მაშინ როდესაც საქართველოს მონობის უღელი ჯერ კიდევ მთელი რუსული სიმძიმით ადგია. მაგრამ ღვაწლი და გმირობა მისი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამარადისო მაგალითად დარჩება. ცუდად არ ჩაივლის მისი განწირული სულის-კვეთება: მისი მერანის მიერ გაკაფულ უვალ გზებზედ მომავალნი გმირნი მებრძოლნი გააქროლებენ თავიანთ მერნებს და განთავისუფლებულ საქართველოს მიწაზედ თავისუფლების პირველი დროშა ქაქუცას სახელით დაერჭობა.

უცხოეთში დახუჭე თვალები და შენი ცხედარი მივაბარეთ სამარეს, სახელოვანო გმირო, მაგრამ შენი სული ალბათ უკვე დაუბრუნდა სამშობლო მხარეს და საუკუნოდ შეუერთდა საქართველოს უკვდავ სულს.

შენ არ დაგეცა ცოლ-შვილის ცრემლი; ძაძა-მოსილმა ქართველმა ხალხმა სამარემდე ვერ მიგაცილა; საქართველოს კათალიკოზმა ვერ შეგავედრა უზენაესს: განუსვენე უფალო სულსა მონისა შენისასაო. მაგრამ სადმე, ბარისახოს, შატილს, არღუნის და არაგვის ნაპირებზედ ვინმე ხევსური დაამღერებს ფანდურს შენზედ გამოთქმულ ნაღვლიან ლექსებს და ამ სიმღერაში იქმნება ცრემლები და იმედები ქართველი ერისა. ხოლო შორეული მომავალი შესთხზავს შენზედ უცნაურ ლეგენდას: ისეთსავე უცნაურს, ვით თვით ბედი ქართლისა.

ლეო კერესელიძე.

ქაქუცა ჩოლაყაშვილის ხსოვნას.

ქაქუცა ოთხი წელიწადი ებრძოდა საქართველოს მტერს გაშმაგებით, შეუპოვრად და ამაყად. მასთან იბრძოდა სამშობლოს მოყვარული ქართველი ხალხი.

ერს უყვარდა ქაქუცა, ენდობოდა, იმედით შესცქეროდა და სწირავდა ცოლ-შვილს, ოჯახს, სარჩო-საბადებელს, ათეულ წლობით მწარე შრომით შექმნილ სახლკარს და სიცოცხლეს... აი ამიტომ ქაქუცა ჩოლაყაშვილი არის ეროვნული გმირი, ერის მიერ „ბელადად“ წოდებული და მიჩნეული,—არა რომელიმე წოდების, პარტიის ან ჯგუფის, არამედ უკეთილშობილესი და უზენაესი იდეისათვის, ერის განმანთავისუფლებელ ბრძოლის მეთაურად.

თანამედროვენი, და ისიც ასეთს დუხჭირს ხანაში, ვერ დავაფასებთ ქაქუცას სავსებით. მისი დაფასება ისტორიას უნდა მიენდოს, რომელიც არაოდეს ივიწყებს სამშობლოსათვის თავდადებულთა.

შენ კი, ძვირფასო და სათაყვანო ქაქუცა! შენ ლაღი და უსაზღვროდ კეთილი გულის პატრონი ხარ და მიუტევებ შენს თანამემამულეებს, თუ ვისმე რაიმე დანაშაული მიუძღვის შენს წინაშე. მაგრამ ამის დრო დღეს არ არის. დღეს მხოლოდ შენს თანამებრძოლ, შენთვის საყვარელ შეფიცულებთან ერთად მუხლმოდრეკით ქედს ვიხრით შენი ცხედრის წინაშე. სამარე შენი ყოველი კეთილშობილი ქართველის გულია. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსეულო მამულიშვილო.

მეგობარი.

გლოვის ზარი.

მიმქრალა მთვარე, მზე სხივებს მალავს,
მოსთქვამს რიონი, ქვითინებს მტკვარი,
უბედურება ბუნებას ღალავს,
სისხლის ცრემლებად ქცეულა ცვარი.

„ცა-ფირუზ“ შავსა ღრუბლებს იმოსავს,
„ხმელეთ ზურმუხტი“ ყვითლდება, სჭკნება,
გუდამაყარი გაშმაგებულს ჰგავს,
ცრემლის ტალღებად მყინვარი სდნება.

„ცა-ფირუზ“ მანამ შავს არ გაიხდის,
„ხმელეთ ზურმუხტსა“ რა გაახარებს?
სანამდის ერი ვალს არ მოიხდის
ძვირფას ქაქუცას არ ჩააბარებს.

მ. დ-დ-ნი.

ბელადო ქაქუცა.

ქართული საზოგადოება, შენგან დაობლებული, დღითიდღე უფრო ერკვევა მომხდარ მოვლენაში. აზრი შეპყრობილია თავს-დატეხილ უბედურებით. განსაკუთრებული სისწრაფით სდგებიან ჩვენ თვალთა წინაშე სურათნი ჩვენი ახლო წარსული ცხოვრებისა, შენ რომ იბრძოდი, მოქმედებდი და იღწოდი.

ამ წარმოდგენათა მრავალ ფერებში მოსჩანს ნათლად და დიდებულად შენი ქართული სახე, სახე უბადლო მებრძოლი ქაქუცასი.

ამბობენ: დიდ მებრძოლთა ცხოვრება ხალხის ისტორია არისო.

შენ სახეზედ ვკითხულობთ ჩვენი ერის მძიმე განცდათა ფურცლებს. ნათელი, რომელი გაბრწყინვებდა შენ, იყო ნათელი თავისუფლების მოტრფიალე დიადი სულისა, სამშობლო რომ დიდებისაკენ მიჰყავდა.

ცხოვრება, შენგან განვლილი, იყო „სიკვდილ—სიცოცხლის“ შორის ვიწრო ბილიკზედ სიარული.

„სიცოცხლე“—საქართველოს სიდიადე, „სიკვდილი“—მტერი და მახვილი მისი, მონად მქცეველი საქართველოისა.

მთელი ქართველი ერის გულისცემა შენთან იყო, ის განიცდიდა ყველა შენ გრძნობებს.

გზა გრძელი და ეკლიანი ბრძოლისა შენ აირჩიე რაღაც მაღალი შთაგონებით. ბედნიერია ის ადამიანი, რომლის წმინდა მისწრაფებას ხალხი გაიგებს. და 24 წლის 28 აგვისტო ის დღეა, როდესაც ქართველმა ერმა შენ მისწრაფებას თავისი შეუერთა და გამოსთქვა ამიერითგან განუქრობელი სურვილი თავისუფლებისა.

ყოველი საქმე იწყება მამაცობით. შენ დაიწყე დიდი საქმე და მიეცი საქართველოს ახალი ისტორია და შთაბერე მას ახალი სული გამარჯვებისა. და შენ გაიმარჯვებ, დიდო ქართველო! ამის თავდებია წმინდა ცრემლი, წარმონადენი ქართველ პატრიოტთა დამდუღრულ გულითგან.

ეროვნულმა ლაშქარმა დაჰკარგა უმღიერესი გმირი და მხედართ-მთავარი.

რიგები შედრკა, მაგრამ ბრძოლა მწვავდება წმინდა საფლავთან. და სასოწარკვეთილებაც წუთიერია, წარმავალი.

განივლის მცირე ჟამი და ეს რიგნი ისევ განრკინდებიან და შენი ცხოვრება, დიდებულო მებრძოლო, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქმნება მათთვის.

აწ განისვენე მშვიდობით და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენ შორის და საქმენი შენნი მარადის მაგალითად ყოველი ქართველი მამულიშვილისათვის.

ირ. ო-რი

ბიდგოშელი (პოლონეთი) ქართველი ოფიცრობის დავალებით და აგრეთვე პირადად მოგმართამთ უმორჩილესი თხოვნით, ნება მოგვცეთ გამოვუცხადოთ თქვენი გაზეთის შემწეობით ქაქუცა ჩოლაყაშვილის სახლობას, მის გმირ შეფიცულებს, ქართველ საზოგადოებას და მთელ ქართველ ერს ჩვენი უღრმესი მწუხარება დიდი ქართველი პატრიოტის და ძვირფასი და საყვარელი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლაყაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო,—უცხო მხარეს, საქართველოთგან შორს. სამონაწილენი ვართ ქართველი ერის ამ დიდი უბედურობისა. სამარადისოდ დარჩეს ხსენება ამ დიდი ქართველისა ჩვენ შორის და მისი მამულის სიყვარული და გმირული ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის სამშობლო დროშის ქვეშ მარადის მაგალითად იყოს ჩვენთვის. ანდერძი მისი ჩაგვენერგოს ყველას გულში „ვით რჯული, ვით წმინდა მცნება“.

გენერალი შაქრო ბაქრაძე.